ნორბერტ ვინერი

მაღალი მისია

ინტელიგენციის წარმომადგენლებს - მათ რიცხვს კი, პირველ რიგში, ვაკუთვნებ მეცნიერებს, ლიტერატორებსა და ხელოვანთ - ეკისრებათ განსაკუთრებული მისია, რომელიც თავისი მნიშვნელობით ბევრად აღემატება მათ თანამემამულეთა უმრავლესობის საპატიო მოვალეობებს. ინტელიგენტი გუშაგი და მცველია პატიოსნებისა და ალალმართლობის ტრადიციებისა, რაზედაც დამოკიდებულია მისი ქვეყნისა და თაობის კეთილი სახელი და ბედი.

კისრულობს რა ამ მისიას თავის თავზე, ინტელექტუალური მუშაკი თანახმაა, რომ მან ჯილდოდ მიიღოს ისეთი ფასეულობანი, რომლებიც არაფრით არ არიან დაკავშირებული არც მის გასამრჯელოსთან და კეთილდღეობასთან, და არც მის პირად თვისებებთან. მისი ჯილდო ის არის, რომ გი უფლებამოსილი ხდება, მონაწილეობა მიიღოს მთელი კაცობრიობის დიად წამოწყებებში.

მისი საზოგადოებრივი მდგომარეობა ისეთია, რომ იგი არ არის შებორკილი მუდმივი და გადაუდებელი მოვალეობებით, რომლებსაც შეუძლიათ ხელი შეუშალონ მას, რათა დროდადრო ფართოდ გადახედოს ხოლმე მსოფლიოს და ჩაუფიქრდეს თანამედროვეობის ძირითად პრობლემებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას, გარკვეული აზრით, შეუძლია იცხოვროს უფრო სისხლსავსე ცხოვრებით და აირჩიოს სულითა და ინტერესებით მახლობელი მეგობრები. მაგრამ ამ უპირატესობათა ღირსი რომ გახდეს, იგი თითქმის აღთქმას დებს, ემსახუროს ჭეშმარიტებას, სულიერებას და ვალდებულია იყოს მაგალითი ამ სამსახურისა თავის თანამემამულეთა თვალში.

ყოველი პროფესია და საქმიანობა რომ გარკვეულ მოვალეობასთან და პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებულ, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. ძალზე მკაცრად არავინ გაკიცხავს სამოქალაქო პირს, ლტოლვილს იმ ადგილიდან, სადაც ომი მძვინვარებს, მაგრამ ჯარისკაცისათვის და, განსაკუთრებით, მეთაურისათვის, რომელსაც სამხედრო ნაწილი აბარია, ფიზიკური და სულიერი სიმამაცე აუცილებელი და სრულიად სპეციფიური მოვალეობაა. არა მგონია, უბრალო მოკვდავს სურვილი ჰქონდეს, დაეცეს ბრძოლაში ან უარესი - მოხვდეს ისეთ ვითარებაში, საიდანაც ერთადერთი ღირსეული გამოსავალი სიკვდილია. მაგრამ თუ ჯარისკაცი გახდი და, მით უფრო, მეთაური, ასეთ შესაძლებლობასაც უნდა გაუწიო ანგარიში.

თუ არც ექიმი ხარ და არც მოწყალების და, შეგიძლია დასტოვო ქალაქი, სადაც შავი ჭირი მძვინვარებს - არავინ გაგკიცხავს ამის გამო, მაგრამ ექიმები და მოწყალები დები უნდა დარჩნენ იქ ბოლომდე, ვიდრე თუნდაც ერთ ადამიანს ესაჭიროება მათი დახმარება. რა მოვალეობაც უნდა გვეკისრებოდეს, არავინ გაგვკიცხავს, თუ უარს ვიტყვით, მონაწილეობა მივიღოთ საშიში და შეიარაღებული ბოროტმოქმედის შეპყრობაში, მაგრამ ყოველი პოლიციელი, მიუხედავად მისი რანგისა, ანგარიშს უწევს იმას, რომ იგი შეიძლება დაიღუპოს ასეთ ბოროტმოქმედთან შეტაკებისას. სწორედ ასევე ყოველი მეხანძრე თავისი

ნებით და შეგნებით დგას დახეიბრებისა ან ალმოდებული შენობის ნანგრევებში შთანთქმის საფრთხის წინაშე. ყოველი ასეთი რაინდი, ერთგული თავისი ვალისა, შეიძლება შევადაროთ პირველ ქრისტიანებს, რომელთაც ერჩიათ, დახოცილიყვნენ ცირკის ასპარეზზე, ვიდრე წარმართთა ღმერთებისთვის ეკმიათ საკმეველი.

მეცნიერისა და მოძღვრის წინაშე დგას ამოცანები, რომელთა შესრულება ყოველ მიზეზგარეშე აუცილებელია არა მარტო საზოგადოების შემდგომი განვითარებისა, არამედ თვით მისი არსებობისთვისაც. მეცნიერი საზოგადოების სულიერი განვითარების გუშაგია. იგი ხელს უწყობს ცნობილ ჭეშმარიტებათა უკეთ გაგებას და ახალ ჭეშმარიტებათა და კონცეფციათა ძიებას. შესაბამისად, მოძღვრის ამოცანაა, გადასცეს ახალგაზრდა თაობას როგორც ეს ახალი ცოდნა და აღმოჩენები, ისევე ცნობილი ჭეშმარიტებანი. ადამიანის კეთილდღეობა და თვით მისი არსებობაც დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად გულწრფელად და პატიოსნად უერთგულებენ ჭეშმარიტებას სწავლულნი და მოძღვარნი.

კისრულობენ რა ამ პასუხისმგებლობას და შეგნებული აქვთ მასთან დაკავშირებული უპირატესობის სპეციფიური ხასიათი (ეს უპირატესობანი, შესაძლოა, მატერიალური თვალსაზრისით შეზღუდული იყოს, სინამდვილეში ძალზე დიდია და ადამიანის ცხოვრებას უაღრესად სისხლსავსესა და სრულფასოვანს ხდის), სწავლულნი და მოძღვარნი კისრულობენ გარკვეულ მოვალეობებს. ეს მოვალეობანი კი მოითხოვენ ჭეშმარიტებისადმი სრულიად განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. სწავლულნი და მოძღვარნი ყალბი ფულის მჭრელებივით არ უნდა იყვნენ: მათ არა აქვთ ხალხის მოტყუების უფლება. უფრო მეტიც, ისინი საკუთარი თავის მოტყუებასაც ვერ გაბედავენ. მაგრამ არ კმარა მხოლოდ პასიური პატიოსნება. მათ დაუზარებლად უნდა ეძიონ ჭეშმარიტება იქ, სადაც ადრე არავის უძებნია. და თუკი ამ ამოცანას მთელ თავიანთ ძალებს არ შესწირავენ, უფლებამოსილნი ვიქნებით, თუ ვიტყვით, რომ ისინი ვერ ამართლებენ თავიანთ დანიშნულებას.

ეს მეტად მკაცრი მისიაა. მას ვერ იტვირთავს ის, ვინც კვლევის საგნად იმ სფეროებს ირჩევს, სადაც ახალი გზა ადვილად გასაკვალავია, და ვერც ის, ვინც თავს არიდებს იმ ჰიპოთეზათა შემოწმებას, რომლებიც შემდგომი კვლევის პროცესში შეიძლება მცდარი აღმოჩნდეს. კაცს, რომელსაც არასოდეს უცდია თავის აშკარა შესაძლებლობათა ფარგლებს გარეთ გასვლა და რომელიც ამაყობს, რომ მის მიღწევათა სიაში არც ერთი შეცდომა არ არის, ალბათ არასოდეს გამოუცდია ბოლომდე თავისი ძალები. ასეთი კაცი ქების კი არა, გაკიცხვის ღირსია, რადგან მან სულის სიმშვიდე ამჯობინა სულიერი მოვალეობის შესრულებას.

უკეთუ უშუალო მოვალეობათაგან ესოდენ მცირე გადახრა გაკიცხვას იმსახურებს, მაშ, რაოდენ მკაცრად უნდა განისაჯოს სწავლული, რომელიც ფულისა თუ სხვა გამორჩენისათვის აშკარად ცრუობს და სწავლულად და მოძღვრად კი მოაქვს თავი? განა უმკაცრესი გაკიცხვის ღირსი არ არის ის, ვინც ასე იქცევა და მაინც განაგრძობს დამრიგებლურ ქადაგებას მეცნიერებისა და განათლების სახელით? თუკი სხვა საქმიანობა მას სწავლულისა და მოძღვრის მოვალეობებთან შეუთავსებელ მდგომარეობაში აყენებს, ან თუ მას ამ საქმიანობათა გამო უხდება დათმოს მოძღვრის მოვალეობა, მას

ერთადერთი გამოსავალი დარჩენია: ან მეცნიერება აირჩიოს ან სხვა ხასიათის მოვალეობანი.

ყოველივე აქ თქმულს მივყავართ ერთ უცილობელ დასკვნამდე: საქციელი კაცისა, რომელიც მოწოდებულია ჭეშმარიტების სამსახურად, მაგრამ ღალატობს მას, ჰგავს იმ მეთაურის დანაშაულს, რომელმაც თავისი რაზმი ბრძოლის ველზე მიატოვა. და თუ სამხედრო წესდების დარღვევა კანონით ისჯება, სიმართლის მოღალატე სწავლული თავისუფლად და უშფოთველად სეირნობს ქუჩებში. სწორედ ამიტომ მისი ღალატი დეზერტირის დანაშაულზე უარესია: ასეთი მეცნიერი იმსახურებს, სულ ცოტა, იმ შერცხვენასა და სახელის გატეხას, რაც ღირსებააყრილი ოფიცრის ხვედრია.

<u>მთარგმნელის მინაწერი:</u>

"კიბერნეტიკის მამის" ნორბერტ ვინერის (1894-1964) ეს წერილი, უფრო მოწოდება, ამ სამი ათეული წლის წინათ (მისი გარდაცვალების წელს) დაიბეჭდა თბილისის უნივერსიტეტის "სამეცნიერო-ბიბლიოგრაფიულ კრებულში" (№2-3, 1964). იგი ითარგმნა პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ გაიოზ ჩიქივანთან ერთად პროფესორ გურამ რამიშვილის თხოვნით, რომელიც ამ კრებულის ერთ-ერთი მესვეური იყო.

წერილი-მოწოდება განმეორებით გამოქვეყნდა გაზეთში "თბილისის უნივერსიტეტი" (1989), რადგან ვფიქრობდით, რომ იმ ხანებში, ახალ დამოკიდებულებათა და, კერძოდ, საუნივერსიტეტო ცხოვრების განახლების ხანაში, ეს მოწოდება უფრო მეტად პასუხობდა საყოველთაო სულისკვეთებას და, შესაძლოა, უფრო ქმედითი ყოფილიყო, ვიდრე ათეული წლების წინ, როცა მოვალეობის, ზნეობის, ჭეშმარიტების კრიტერიუმები და თავად ცნება ჭეშმარიტებისა და სიმართლისა, როგორც საზოგადოებრივი ღირებულებანი, დაკარგული იყო, და "ზემოდან" იყო ნაბრძანები. იმ პერიოდში მცირდნი თუ ხვდებოდნენ თავად ამ ცნებათა "ზემოდან", "ზემდგომი" და სხვათა მის მსგავსთა სატანურ გაუკუღმართებას. ჭეშმარიტების სამსახურად მოწოდებული მუშაკი კრძალვით და სასოებით შესცქეროდა "ზემდგომს", რომელსაც ის ყოველ ჭეშმარიტებაზე მაღლა აყენებდა, გამოელოდა რა მისგან წყალობის სიტყვას, გამოელოდა ჯილდოს და ხსნასაც, როსთვისაც მზად იყო საკუთარი ფეხით გაეთელა თავისი ღირსება. "ზემდგომი" იყო მისი უკანასკნელი იმედი, "ზემოდან" მოდიოდა მისი ხსნა. ასეთ საზოგადოებაში ნორბერტ ვინერის შეგონებანი ალბათ იყო ხმა ამაოდ მღაღადებლისა უდაბნოში. ასეთ უდაბნოს, სადაც ჩვენი "საზოგადოება" ცხოვრობდა, განა წარმოიდგენდა იგი? "სიმართლის მოღალატე სწავლული", მისი სიტყვები რომ გავიმეოროთ, თავისუფლად დააბიჯებდა არათუ ქუჩებში, არამედ იმ შენობაში, იმ აუდიტორიებში, სადაც მისი ბაგიდან ჭეშმარიტების მღაღადებელი სიტყვა უნდა მოსმენილიყო. ამ შენობაში, ამ აუდიტორიებში ყველას მეტ-ნაკლებად ნაკმევი აქვს (გამონაკლისი მაშინაც წესის დამამტკიცებელი არგუმენტი იყო) "საკმეველი წარმართთა ღმერთებისათვის", რადგან მძიმე იყო განსაცდელი, ადამიანი - სუსტი, რწმენა მცირედი ან სრულიად

გამქრალი სწავლულის, მოძღვრისა თუ მწერლის ღირსების წარუვალობაში, რწმენა იმისა, რომ ისინი არიან თავიანთი მოწოდებისა და საქმის ბატონ-პატრონნი არიან, რომ მათი შრომის საზღაური არ იზომება რაოდენობით - მატერიალური კეთილდღეობით ან "ზემოდან" ნაწყალობევი ნიშნებით, საყოველთაო-სახალხო აღიარებით. სწავლული, მოძღვარი, მწერალი კი მოითხოვდა (და ახლაც მოითხოვს) აღიარებას "ზემოდან" და "ქვემოდანაც". ის მიაჩვიეს ამ მოთხოვნას.

ერთმა ბრძენმა, როცა ჰკითხეს, როდის ჩანს ბოროტის ყველაზე უარესი ნამოქმედარიო, უპასუხა: მაშინ, როცა ადამიანს დავიწყებული აქვს თავისი უფლისწულობაო. ცხადია, "უფლისწულობაში" სულიერ-ინტელექტუალურ თავისუფლებას და მოწოდებას გულისხმობდა ბრძენი მოძღვარი. როცა ადამიანს დავიწყებული აქვს, რომ გონებრივი შემოქმედების ჯილდო თავად შემოქმედებაშია, რომ შემოქმედების ნიჭი თავისთავად არის ჯილდო, ზეგარდმო მონიჭებული, რომ ის ამიტომაც არ შეიძლება იყოს საშუალება მასზე უდარესი ფასეულობის მოსაპოვებლად, რომ სულიერების სამსახურად მოწოდებული ნიჭი არ შეიძლება გადაიცვალოს ყოფით კეთილდღეობაზე. თუ ეს დავიწყებულია, განა აქ არ ჩანს ბოროტის მცდელობათა ყველაზე საშინელი შედეგი? სად არის სწავლულისა თუ მოძღვრის მოღვაწეობის ჯილდო? "მისი ჯილდო ის არის, - ამბობს ნ.ვინერი, რომლის მოღვაწეობა ბნელეთის მოციქულობად იწოდებოდა "ზემოდან" მართულ საზოგადოებაში, - რომ იგი უფლებამოსილი ხდება მონაწილეობა მიიღოს მთელი კაცობრიობის დიად წამოწყებებში". თავისი ნიჭის, თავისი მოწოდების, თავისი სინდისის კარნახით გონებრივი მუშაკი, როგორც წევრი საკაცობრიო ელიტისა, აკეთებს არჩევანს და ერთგული რჩება ამ არჩევანისა, რომელიც არის ერთადერთი მისი პრივილეგია - აქ არის მისი მოვალეობაც და უფლებაც მათ ჰარმონიულ ერთიანობაში. ეს არის მისი უფლისწულობა, ეს არის მისი აზნაურობა ამ სიტყვის პირდაპირი და გადატანითი გაგებით.

ნ.ვინერის წერილში გამოსჭვივის აზრი, რომ სწავლულისა და მოძღვრის შემოქმედების ასპარეზი არ არის და არც უნდა იყოს ია-ვარდით მოფენილი; რომ ის ბრძოლის ველია და ამ ველზე უხდება მას, როგორც ჯარისკაცს, ბრძოლა ჭეშმარიტების დასაცავად, როგორც აღმსარებელს, იმათი სულების გადასარჩებად, ვისაც მან თავისი მოწოდებით უნდა აგრძნობინოს ჭეშმარიტების გემო, გააღვიძოს მის სინდისში აზნაურობის ხსოვნა.

კვლავ ვაქვეყნებთ ნ.ვინერის Vწერილ-მოწოდებას ამ ე.წ. გარდამავალ, ღირებულებათა დაკნინებისა თუ ქრობის ხანაში, როცა ახალ-ახალი "დემოკრატიული" კერპები იბადება და საზოგადოებაც მზად არის უკმიოს მათ საკმეველი. რამდენი აღმოჩნდება ჩვენ შორის ისეთი, ვინც დაუნანებლად ამბობს უარს კეთილდღეობაზე, პატივზე, თანამდებობაზე, როცა დგება მის წინაშე არჩევანი: ან ეს ან ის? ან მაღალი მისია ან პატივი? ან წარუვალი ან წარმავალი? თვისება თუ რაოდენობა? შინაგანი თუ გარეგანი? ჭეშმარიტება თუ ჭეშმარიტებას მიმსგავსებული სიცრუე? "დიდება", რომელზეც უარი თქვა ქრისტემ თუ ჭეშმარიტება, რომელმაც "განგათავისუფლნეს თქვენ?"

"რამეთუ თქვენ აზნაურებასა ჩინებულ ხართ, ძმანო. გარნა ხოლო აზნაურება ეგე ნუ მიზეზად ხორცთა..." - მოუწოდებს მოციქული (გალ.5,13).

<u>მინაწერი მეორე:</u>

მარადი დეზერტირები

"კიბერნეტიკის მამა", როგორც მას უწოდეს, ნორბერტ ვინერი (1894-1964) - მეოცე საუკუნის უდიდესი ინტელექტუალი ამ ესეს სახით აყალიბებს ინტელიგენტის ან, თუკი ამ სიტყვას აღარ შერჩა რაიმე დადებითი მნიშვნელობა, ვთქვათ, ინტელექტუალური მოღვაწის კოდექსს. არსებობდა (და არსებობს) სამურაის ზნეობის კოდექსი ბუსი-დო ("სამურაის გზა"), არსებობდა და არსებობს ქრისტიანულ მონასტერთა თუ ორდენთა წესდებები, ყველა პარტიას თუ საზოგადოებას თავ-თავისი წესდებები აქვს, მაგრამ არასოდეს არსებულა ინტელექტუალური მოღვაწის წესდება, რომლითაც იხელმძღვანელებდა ინტელექტუალობის გზაზე შემდგარი კაცი. არ არსებულა ამგვარი წესდება ალბათ იმ მიზეზით, რომ, როგორც "კიბერნეტიკის მამა" ამბობს, "იგი არ არის შებორკილი მუდმივი და გადაუდებელი მოვალეობებით" ანუ, ჩვენ შეგვიძლია დავუმატოთ, რომ ინტელექტუალი თავისუფალი ადამიანია, ის არ ეკუთვნის რაიმე კორპორაციას, მისი მოწოდება გარედან არ არის განსაზღვრული. ის მარტოსულია, როგორც მონადა, და მარტოსულად იღვწის (ამიტომაც სძაგს მას კოლექტიური წერილები და გაურბის ხელმოწერებს). ინტელექტუალს არ აწევს იმ სახის ვალდებულებანი, რომელნიც შეიძლება ხელისუფლებამ და, გარკვეულწილად, საზოგადოებამ დააკისროს ადამიანს. ინტელექტუალური მოღვაწის თავისუფლება გამომდინარეობს თავად იმ "ობიექტის" ბუნებიდან, რომელსაც ის ეძებს და ემსახურება. ეს საგანი ჭეშმარიტებაა, მარტივად რომ ვთქვათ, სიმართლის ლაპარაკი. ინტელექტუალი თავისუფლებით ეძებს და პოულობს ჭეშმარიტებას და, ამავე დროს, ჭეშმარიტება ათავისუფლებს მას. ერთის მხრივ, თუ ადამიანს არ აქვს თავისუფლება, ის ვერ შეიცნობს ჭეშმარიტებას. მეორე მხრივ, თუ მას ჭეშმარიტება არ შეუცვნია, თავისუფალიც ვერ იქნება. პარადოქსი მოიხსნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს ორი რამ - ჭეშმარიტება (უფრო სწორად: ჭეშმარიტების გრძნობა) და თავისუფლება (თავისუფლების გრძნობა) იმთავითვე ერთმანეთში შენივთებულად თან დაჰყვება ადამიანს. თუმცა შესაძლებელია ამ გრძნობათა აღზრდაც. ინტელექტუალი ყალიბდება ამ ორი "ბუნებრივი" მონაცემის კულტივირების შედეგად. აქედან გამომდინარეობს ყველა ის თვისება, რომელიც ინტელექტუალს სხვა პროფესიის ადამიანთაგან გამოარჩევს. თუმცა, რამდენადაც ადამიანს, როგორც გონიერ არსებას, არ უნდა ეუცხოებოდეს თავისუფლება და ჭეშმარიტება, ამდენად არსებითად ყველა ადამიანი, როგორც ღვთის ხატი, განურჩევლად პროფესიისა, შეიძლება ინტელექტუალად ჩავთვალოთ.

ინტელექტუალი ყველაზე კარგად გამოხატავს ადამიანის იმ ტიპს, რომლისთვისაც თავისუფლება და ჭეშმარიტება შინაგანი მოწოდებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ის არ დაემსგავსება მოჯამაგირეს, რომელიც საქმეს გასამრჯელოს გულისთვის აკეთებს. ის არც მონა იქნება, რომელიც მხოლოდ ბატონის შიშით შრომობს. ის შვილია, რომელიც მამის

სიყვარულით იღწვის. რადგან მამაშია ჭეშმარიტება და სიყვარულში - თავისუფლება.

ინტელექტუალური მოღვაწეობის ჯილდო მის შედეგშია, უფრო მეტიც, ის იმ უნარშია, რომელსაც ადამიანი განიცდის, როგორც მოწოდებას, როგორც მოწოდების აღსრულებას. თუ სადმე, რომელიმე პროფესიას ახლავს მოწოდება, თუ რომელიმე პროფესიაში ადამიანი ავლენს ღვთის ხატის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უნარს - შემოქმედებას, ინტელექტუალში ისინი თავისი წმიდა სახით არის მოცემული. ეს ორი რამ - მოწოდება და შემოქმედება, რომელთაგან ერთი განსაზღვრავს მეორეს, შინაგანი თავისუფლების გამოხატულებებია. თვით მაშინაც კი, როცა წინასწარმეტყველი, როგორიც იყო იონა, ეურჩებოდა ღვთის მოწოდებას, მისი აღსრულება მისი მხრიდან თავისუფლების აქტი იყო. მოწოდება ავალებს ადამიანს, გავიდეს თავისი შეზღუდული მეს ფარგლებს გარეთ, აკეთოს ის, რაც აღემატება მის შესაძლებლობებს და, რაც მთავარია, სურვილებს. მოწოდება ძლევს "მე"-ს სურვილებს, როგორც სძლია იონამ თავისი პირადი სურვილი. ხოლო სურვილთა ძლევა ათავისუფლებს ადამიანს. სურვილები ის ხერგილი თუ ბურუსია, რომელიც აბრკოლებს ჭეშმარიტებასთან მისვლას და მის ხილვას. პირად სურვილთა უკანა პლანზე გადატანა გზას უთავისუფლებს იმ სურვილებს, რომლებიც მოწოდების ადექვატურია ("მომეც მიჯნურთა სურვილი სიკვდიმდე გასატანისა"). ეს თემა სურვილთა ძლევისა საყოველთაოა ასკეზისა და მისტიკის პრაქტიკაში, მაგრამ ის თავს იჩენს ინტელექტუალურ ღვაწლშიც. ინტელექტუალი ამბობს: მე მივსდევ არა იმას, რაც მსურს, არამედ იმას, რაც ჭეშმარიტებას ნებავს.

ინტელექტუალის, როგორც ჭეშმარიტების მსახურის, უკომპრომისო პოზიცია ყოველთვის არ არის დაკავშირებული სიკვდილის რისკთან. მაგრამ იყო დრო, როცა ჭეშმარიტების დამოწმება ადამიანებს სისხლის ფასად უხდებოდათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჭეშმარიტება მათ არსებაში იყო დავანებული, მსჭვალავდა და ავსებდა მათ პიროვნებას. ჭეშმარიტება მათ თვალში იყო ისეთი ღირებულება, რომელიც განუზომლად მეტად ფასობდა, ვიდრე ადამიანის ფიზიკური სიცოცხლე, დაბადებასა და სიკვდილს შორის მოქცეული. ჭეშმარიტებისგან განდგომა საკუთარი პიროვნებისგან განდგომას, სულიერ სიკვდილს ნიშნავდა. ამიტომაც ჭეშმარიტებით შეპყრობილი ადამიანი ორიდან ერთს - ფიზიკურ სიკვდილს არჩევს. ქრისტიანობის პირველმასაუკუნეებმა უხვად წარმოშვეს ისეთი ადამიანები, რომლებსაც ღრმად ჰქონდათ გამჯდარი მთელს არსებაში განცდა ჭეშმარიტების უმაღლესი ღირებულებისა, რისთვისაც ისინი სიცოცხლესაც თმობდნენ. თმობდნენ ამ წუთისოფლის წარმავლობას ჭეშმარიტების მარადიულისთვის.

ქრისტიანობა იმაზე შორს მიდის, რასაც ნორმატული ზნეობა მოითხოვს ადამიანისგან. ქრისტიანობა არ დაიყვანება ზნეობრივობამდე. ეს მხოლოდ ამოსავალი მოცემულობაა. ქრისტიანობის ზნეობრივ პოზიციას, თუ ნ.ფეოდოროვის ტერმინს გამოვიყენებთ, შეიძლება ეწოდოს სუპრამორალიზმი. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი ავალებს თავს მოიმოქმედოს იმაზე მეტი, რაც მას უშუალოდ ევალება. ქრისტიანი ამოწმებს, რომ ადამიანს შეუძლია და, მაღალი აზრით, მოვალეა კიდეც, იტვირთოს იმაზე მეტი, რასაც მას მისი მოწოდება, პროფესია ან საზოგადოებრივი მდგომარეობა აკისრებს. არავინ ავალებდა ბერ ტელემაქეს, თავისი უდაბნოდან მოსულიყო რომში და ცირკის არენაზე

გასულიყო მხეცებთან შესაბრძოლებლად. ბერი მხეცებმა დაგლიჯეს, მაგრამ იმ დღიდან სამუდამოდ დაიკარგა გლადიატორთა ცქერის ხალისი. გლადიატორობა აიკრძალა (ეს მოხდა 403 წელს). თუ ჯარისკაცის თავგანწირვა გმირობაა, ორგზის გმირობაა მოქალაქის თავგანწირვა. ეს არის სუპრამორალიზმი - სულიერ-ზნეობრივი მაქსიმუმი.

ქრისტიანობის პირველ ხანებში ადამიანებმა უჩვენეს სულიერ-ზნეობრივი მაქსიმუმი დანარჩენ კაცობრიობას, სხვა ადამიანებს, რათა მათ ზნეობის მინიმუმი მაინც შეენარჩუნებინათ. დღეს კი რას ვხედავთ? დღეს არათუ რიგითი ადამიანი, არამედ ისიც კი, ვინც თავის მოწოდებად ინტელექტუალობას თვლის, კეთილდღეობისა და ყოფითი სიმშვიდის მოსაპოვებლად მზად არის, მინიმუმის დაბლა დაეშვას, თუნდაც მაქსიმუმის შენარჩუნება სიკვდილის რისკთან არ იყოს დაკავშირებული.

დღევანდელ ინტელექტუალს, დავუბრუნოთ მას სახელგატეხილი ინტელიგენტის ტიტული, არავინ კიცხავს, როცა ის ეცემა მოჯამაგირულ (და ხშირად მონურ) მდგომარეობამდე, რაც გამოიხატება მის დამოკიდებულებაში ხელისუფლებასთან, საზოგადოებასთან, როცა ის მოთხოვს მათგან მის დაფასებას, სამაგიეროს მიგებას მისი ღვაწლის წილ. არც მაშინ გაკიცხავენ ინტელექტუალს, როცა ის ავტორიტეტებს ამოფარებული ჭეშმარიტების წინააღმდეგ მიდის, ისევ და ისევ პირადი კეთილდღეობისა და სიმშვიდის შესანარჩუნებლად. არც მაშინ, როცა, როგორც ნ.ვინერი ამბობს, ინტელექტუალური მოღვაწე სწავლულისა და მოძღვრის მოვალეობებთან შეუთავსებელ საქმიანობას, ვთქვათ პირდაპირ, კრიმინალურს ეწევა. დღეს არც ჭეშმარიტებისა და სიმართლის ღალატი, არც ანგარებიანი მოქმედება ინტელექტუალისგან არავის ეუცხოება. ეს იმიტომ ხდება, რომ ინტელექტუალის სტატუსს საზოგადოების თვალში არათუ დაწერილი, დაუწერელი კანონიც კი არ განსაზღვრავს. ამიტომ არის, რომ დღეს ინტელექტუალობის ქვეშ ბევრი ისეთი ადამიანია შეფარებული, რომელთაც არაფერი აქვთ საერთო მოწოდებასთან და "სულის არისტოკრატობასთან". კი ეფარებიან, მაგრამ, როგორც გრიგოლ რობაქიძე იტყოდა, რასა არ ყოფნით ჭეშმარიტი ინტელექტუალური აქტების შესასრულებლად. ისინი მარად დაუსჯელ დეზერტირებად რჩებიან.

ზურაბ კიკნაძე